

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №3

ქ. მარტვილი

1 მარტი, 2021 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე დამთავრდა 13:30 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ალექსი გაბისონია, ალექსანდრე ახვლედიანი, ზურაბ მელიავა, რამაზ ხურცილავა, თორნიკე ჯანაშია, გიორგი გაბუნია, ლევან სურმავა, ელდარ თოდუა, რომან ფონიავა, ირინა გადელია, კობა დარჯანია, გიორგი ხორავა, ელიზბარ ახვლედიანი, დავით ბარამია, შალვა ბახია, გოგი ბასილაია, გოჩა ლაშხია, ზაზა რუხაია, ირაკლი ჯამბურია, ფრიდონ გვილავა, ვარლამ ცეკვავა, რობერტ კაკულია.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მირიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი სიმონ რევია, მარტვილის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია.

მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით გააცნო სხდომის მონაწილეებს და სთხოვა აზრი გამოეთქვათ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხის წინ გაეკლოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მარტის დღის წესრიგის პროექტი დასამტკიცებლად დასვა კენჭისყრაზე.

კეჭისყრის შედეგი:

მომხრე 22 წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მარტის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მამარტის №5 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის./

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 1 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ალექსანდრე მოწერელიას ბიუროს ფუნქციონირებისათვის, უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი-მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი სიმონ რევია/

3. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზურაბ ბიგვაკას უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

/მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/

მოისმინეს 2: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი სიმონ რევია მოხსენება „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ალექსანდრე მოწერელიას ბიუროს ფუნქციონირებისათვის, უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად ითხოვენ მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ალექსანდრე მოწერელიას ბიუროს ფუნქციონირებისათვის, უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოეთქვათ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

დაადგინეს: კენჭი ეყაროს „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ალექსანდრე მოწერელიას ბიუროს ფუნქციონირებისათვის, უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტს წარმოდგენილი სახით.

ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს საკითხის წინ გაეგლოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე, კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 22, წინააღმდეგი 0.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ალექსანდრე მოწერელიას ბიუროს ფუნქციონირებისათვის, უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 1 მარტის განკარგულება N6 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 3: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოხსენება „ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზურაბ ბიგვაკას უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრმა ზურაბ ბიგვაჯამ დაწერა განცხადება, რომლის თანახმად მან 2021 წლის 27 თებერვლიდან დატოვა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება და ითხოვს აღნიშნული საკითხის ცნობად მიღებას.

დაადგინეს: ცნობად იქნეს მიღებული მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზურაბ ბიგვაჯას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
/„მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზურაბ ბიგვაჯას უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 1 მარტვის N7 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის/

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალექსი გაბისონია